საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №72
2014 წლის 15 სექტემბერი

ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში (სსმ III, 04.08.2010 წ., №96, მუხ.1421) და ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ’’;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დაფუძნდეს სამხედრო მომზადებისა და განათლების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.’’;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წესდება (დანართი №1).’’.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესდების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წესდება’’;

ბ) პირველი მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სტატუსი’’;

გ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში – ,,ლიცეუმი’’) არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - ,,სამინისტრო’’) მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ვაჟთა საგანმანათლებლო საქმიანობას, სამხედრო მომზადებას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ეროვნული და ლიცეუმის სასწავლო გეგმის შესაბამისად.’’.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

თამარ ქაროსანიძე